პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 123 (5153)

1974 წ. 23 ივნისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე (სურათზე მარცხნივ) თბილისის III ტრადიციული ტურნირის მთავარი მსაჯია. ბულგარელმა სტეფან პეტროვმა კარგა ხანია დატოვა სარბიელი და ახლა თავისი ქვეყნის ახალგაზრდულ გუნდს წვრთნის. როსტომი და სტეფანი ძველი ნაცნობები არიან და თბილისში გულთბილად შეხვდნენ ერთმანეთს. ბულგარელმა გაიხსენა 1968 წელს მოსკოვში ჩატარებული ი. პოდდუბნის სახელობის ტურნირი, სადაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან მოუხდა ბრძოლა. მაშინ გამარჯვება აბაშიძეს დარჩა. გუშინწინ ბულგარელმა ხუმრობით შესთავაზა მთავარ მსაჯს თბილისში გავაგრძელოთ შეწყვეტილი დავაო...

სურათზე: რ. აბაშიძე და ს. პეტროვი.



ბრძოლის პერიპეტიებს თვალს ადევნებენ ტურნირის მონაწილეები (მარცხნიდან) მ. სალაძე, ირანელი ბ. მოშთაგი, მ. ლეჟავა და ირანელი ა. ყურბანი. ლეჟავა და ყურბანი ყურადღებად არიან ქცეულნი, სალაძე და მოშთაგი კი „ძველ ამბებს" იხსენებენ. გასახსენებელი კი მათ მართლაც ბევრი აქვთ. ისინი ხომ ამ ცოტა ხნის წინაც მეტოქეები იყვნენ სარბიელზე. სალაძემ მაშინ ახალგაზრდობის მსოფლიო ჩემპიონატში დაამარცხა ირანელი, ამჯერადაც მათი შერკინება ქართველი ათლეტის წმინდა გამარჯვებით დამთავრდა.

ი. იუნაევის ფოტოები.

# მძაფრი ბრძოლები

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირველ ორ წრეში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ბევრმა ათლეტმა უკვე დატოვა ასპარეზი, ღირსეულები განაგრძობენ ტურნირს. ბრძოლები უაღრესად მძაფრი და დაძაბულია.

48 კგ წონითს კატეგორიაში ერთნახევარი საჯარიმო ქულა აქვს ბულგარელ პ. ივანოვს. პირველ წრეში მან ქულებით დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრების წევრი ა. მოჩალკინი, მეორე წრეში კი — პოლონელი ი. კოშინსკი. ამ წონაში ტრავმის გამო ბრძოლას გამოეთიშა საქართველოს წარმომადგენელი თ. კოღუაშვილი.

მომდევნო წონითს კატეგორიაში ჯერჯერობით ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრების წევრი ვ. ჟუკი. პირველი ბრძოლა მან წმინდად მოუგო ჩვენს თანამემამულეს ვ. ბლაგიძეს, მეორეში — აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა პოლონელ ვ. ნოვიცკისთან. ორი წრის შემდეგ ნახევარი ქულა აქვს რუმინელ ფ. რადუცსაც.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს (57 კგ წონითს კატეგორიაში) ახალგაზრდა ათლეტი რ. ეივაზოვი, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავს. სტარტზე მან წმინდად მოუგო ბულგარელ ნ. პორიაზოვს. მეორე წრეში მისი მეტოქე იყო საქართველოს გუნდის წევრი ი. ჯუღელი. ეივაზოვმა ამჯერადაც გამოიჩინა თავი და მეტოქე წმინდად დაამარცხა (1 წუთსა და 55 წამში). დამაჯერებლად იბრძვის ამ წონაში საქართველოს წარმომადგენელი ზ. მძელურიც. იგი ორჯერ შეხვდა უცხოელ ათლეტებს და ორივეჯერ გაიმარჯვა: პირველი ბრძოლა წმინდად მოუგო რ. შვერარდს (პოლონეთი), ხოლო მეორე — ნ. პორიაზოვს (ბულგარეთი).

მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობაა 68 კგ წონითს კატეგორიაში. ბევრია აქ მაღალი კლასის ოსტატიც. ამიტომ ბრძოლა პირველობისთვის დაძაბულია. ფავორიტთა შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონი ე. მარაიძე, რომელმაც სტარტზე დაამარცხა საბჭოთა ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ათლეტი ზ. ლეკვეიშვილი, მეორე წრეში კი — ფიზიკურად ძლიერი და გამოცდილი ბულგარელი ქ. ტრაიკოვი. დამაჯერებლად მიიწევს წინ ა. აფრიამაშვილიც. მანაც უკვე ორი გამარჯვება იზეიმა.

ჩემპიონატის პირველი დღის შემდეგ საპრიზო ადგილებზე გასვლის რეალურ შანსებს ინარჩუნებენ სხვა ჩვენი მოწინავე მოჭიდავეებიც, მათ შორის თ. მაჭავარიანი (მეორე წრეში წმინდად მოუგო ირანელ ხ. ნეზავაუტდუსტს), მ. ლეჟავა, ე. გოგლიჩიძე, მ. სალაძე (პირველ წრეში წმინდად დაამარცხა ირანელი მ. მოშთაგი) და სხვ.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ც. ფიქრიალაძე.

# იოსებ ბერიშვილის წმინდა მოგება

მადრიდი, 21 ივნისი. დღეს აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ევროპის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატი. წარმატებით განვლეს პირველი წრე საბჭოთა ათლეტებმა.

მეორე ქვესაშუალო წონაში თავი გამოიჩინა თბილისელმა ი. ბერიშვილმა. მისი მეტოქე, თურქი თ. აიდენი ფიზიკურად ძლიერი და გამოცდილი სპორტსმენია. ამის მიუხედავად, ბერიშვილმა თავიდანვე აქტიურად დაიწყო ბრძოლა და მეტოქე გააბრუა შეტევებით. თურქი ყრუ დაცვაზე გადავიდა, მაგრამ საბოლოოდ მას ვერც ამან უშველა. მეორე პერიოდის დასაწყისში ქართველმა ათლეტმა ხალიჩაზე გაკრა მეტოქე.

საბჭოთა მოჭიდავეებიდან წმინდად გაიმარჯვეს, აგრეთვე, კრასნოიარსკელმა ა. შუმაკოვმა, რომელმაც სძლია პოლონელ ა. ზაიკოვსკის (უმძიმესი წონა), მოსკოველმა ა. კავკაევმა, რომელმაც დაამარცხა ნორვეგიელი ხ. ხერვიგი (მსუბუქი წონ). ალმაათელმა ვ. რეზანცევმა ქულებით მოუგო პოლონელ ი. კვეცინსკის (მეორე საშუალო წონა).

## 19 45

◆ მადრიდი, 22 ივნისი. სსრ კავშირის „კლასიკოსთა" გუნდი ერთადერთი კოლექტივია, რომელიც აქ მიმდინარე კონტინენტის ჩემპიონატში უდანაკარგოდ გამოდის. პირველივე დღეს რვა საბჭოთა ათლეტმა წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მათ შორის მძიმე წონის თბილისელმა შ. მორჩილაძემაც, რომელმაც შვედი ა. ტხორუპა დაამარცხა. მეორე გამარჯვება იზეიმა ი. ბერიშვილმა — ქულებით სძლია გ. ლავონენს (ფინეთი).

◆ ნოტინგემი, 22 ივნისი. თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა მოიპოვა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში თამაშის უფლება, სადაც მისი მეტოქე იქნება ს. სმითი (აშშ). მეტრეველმა ნახევარფინალში მოუგო მეორე ამერიკელ სპორტსმენს მ. რისენს — 3:6, 6:3, 6:3.

# ეჭვსი ტურის შემდეგ

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ საფრანგეთის ქალაქ ნიცაში XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარი ტურნირის VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოუგეს არგენტინელებს — 2,5:1,5. ახლა დავუმატებთ, რომ კორჩნოიმ დაამარცხა არგენტინელთა ლიდერი კინტეროსი, ხოლო მსოფლიოს ექსჩემპიონებმა სპასკიმ და პეტროსიანმა, აგრეთვე, დიდოსტატმა კუზმინმა პარტიები ყაიმით დაამთავრეს.

ამ ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: იუგოსლავია — უელსი 4:0, აშშ — უნგრეთი 2:2, გფრ — ბულგარეთი 2:2, დანარჩენ მატჩებში ასეთი მდგომარეობაა: რუმინეთი — შვეცია 2,5:0,5 (ერთი პარტია გადადებულია), ფინეთი — ჰოლანდია 1:2 (1), ფილიპინები — ჩეხოსლოვაკია 2,5:0,5 (1), ესპანეთი — ინგლისი 1:1 (2).

6 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 19 ქულა. მათ 3 ქულით ჩამორჩებიან ბულგარელები. მომდევნო ადგილებზე არიან იუგოსლავია — 15,5, აშშ — 15, უნგრეთი — 14,5.

# კოზლოვსკაია თუ ლევიტინა?

ამ კითხვას პასუხი ვერ გასცა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის (კისლოვოდსკი) ბოლო, X პარტიამ, ვინაიდან იგი ყაიმით დამთავრდა და მეტოქეთა ქულებიც თანაბარი აღმოჩნდა — 5:5.

გამარჯვებულის გამოსავლენად კოზლოვსკაია და ლევიტინა დამატებით ექვს პარტიაში განაგრძობენ ბრძოლას პირველ მოგებულ პარტიამდე. თუ ექვსივე პარტია ყაიმით დასრულდა (რაც ერთობ საეჭვოა), მაშინ ალექსანდრიას მეტოქეს კენჭისყრა დაასახელებს.

# [illegible]-74

● დაუგავპილსი, 21 ივნისი. მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო შესარჩევ ტურნირში, რომელშიც 64 სპორტსმენი მონაწილეობს, გაიმართა 6 ტური (შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს. სულ ჩატარდება 13 ტური). 5 ქულით ლიდერობენ ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ა. ბელიავსკი და მოსკოვის ჩემპიონი ბ. გულკო. 4,5 ქულა აქვთ ოსტატ ლ. ალბურტს და დიდოსტატ ი. ბალაშოვს. სხვათა შორის, შვიდი დიდოსტატიდან იგი ერთადერთია, რომელიც წარმატებით გამოდის ამ შეჯიბრებაში.

● მინსკი, 21 ივნისი. აქ დამთავრდა ბელორუსიის ტელევიზიის პრიზის ტრადიციული გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირისა და ბელორუსიის (ორ-ორი), აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ლატვიისა და ესტონეთის გუნდები, აგრეთვე, რუმინელი ხუთჭიდელები. გაიმარჯვა კიეველმა ა. მიშნევმა — 5323 ქულა. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა.

# ოფიციალური ცნობები

## ა. ნ. კოსიგინს გადაეცა გიორგი დიმიტროვის ორდენი

21 ივნისს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს შენობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს გადაეცა გიორგი დიმიტროვის ორდენი, რომლითაც იგი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულებით დაჯილდოვდა დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და თვალსაჩინო დამსახურებისთვის ბულგარეთ — საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებაში.

მაღალი ჯილდო ამხ. ა. ნ. კოსიგინს გადასცა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა.

დასასრულს ტ. ჟივკოვმა და ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვეს სიტყვები.

## ეწვივნენ უნგრეთის გამოფენას

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე თბილისში გაიხსნა გამოფენა „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ავტობუსები და საგარაჟო მოწყობილობა — 74". ამ ქვეყნის საგარეო-სავაჭრო საწარმო „მოგიურტი" უჩვენებს უნგრეთის საავტომობილო მრეწველობის უახლეს მიღწევებს. ფირმის ნაწარმი იგზავნება 30-ზე მეტ ქვეყანაში.

20 ივნისს უნგრეთის გამოფენას ეწვივნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გ. გილაშვილი და სხვები. მათ დაათვალიერეს ქარხანა „იკარუსის" ავტობუსები.

ახსნა-განმარტებას იძლეოდნენ სსრ კავშირში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მთავარი სავაჭრო მრჩეველი მ. კადალა, საგარეო სავაჭრო საწარმოს „მოგიურტის" გენერალური დირექტორი ლ. ტოტი, ქარხანა „იკარუსის" გენერალური დირექტორი ი. ტოლდი.

## გამოთხოვება

21 ივნისს საბჭოთა ხალხი გამოეთხოვა გამოჩენილ საბჭოთა მხედართმთავარს, ჩვენი შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ აქტიურ მშენებელს, დიდი სამამულო ომის სახელგანთქმულ გმირს, ოთხგზის საბჭოთა კავშირის გმირს, საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს.

სამგლოვიარო კორტეჟი წითელ მოედანზე მივიდა. ურნა გ. კ. ჟუკოვის ნეშტით კვარცხლბეკზე დადგეს.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრეჩკო, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. მ. მაშეროვი, მ. ს. სოლომენცევი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ.

სამგლოვიარო მიტინგის დამთავრების შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს გამოაქვთ გ. კ. ჟუკოვის ურნა და მიემართებიან კრემლის კედლისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

# მინსკის გაკვეთილები




ამ ბოლო დროს ყველა საფარიკაო ბილიკი... მინსკში მიდის. აქ, დიდი საფარიკაო ტრადიციების მქონე ქალაქში, მარტო სასპარეზოდ კი არა, სასწავლებლადაც ჩამოდიან. თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რომ ხალხთა მომავალი საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოფარიკავეთა შეჯიბრება ბელორუსიის დედაქალაქში უნდა გაიმართოს, ცხადი გახდება, თუ რატომ არის კონცენტრირებული სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მსოფლიოში ცნობილ მუშკეტერთა ქალაქზე.

ჩვენ, საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრებს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა გვაინტერესებდა მინსკის საკავშირო ჩემპიონატი ფარიკაობაში. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენს დამოკიდებულებას, უფრო სწორად, ინტერესს ჩემპიონატის დღეებში ამძაფრებდა ეგრეთ წოდებული „სადაზვერვო" მუშაობა. რაც უნდა იყოს, მოძმე ბელორუსია ჩვენი უპირველესი კონკურენტი იყო ხალხთა ყველა სპარტაკიადაში.

არ ვიცი, როგორ წარიმართება ჩვენი მეტოქეობა ლამის კარს მომდგარი VI საკავშირო სპარტაკიადის სარბიელზე სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, ფარიკაობაში კარგა გვარიანად ჩამოვრჩით. ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინათ კი ბელორუსიელ მოფარიკავეთა ღირსეულ მეტოქეებად ვითვლებოდით, ის კი არადა, ხშირად ვუგებდით კიდეც მათ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში.

თუმცა, ყველა შემთხვევაში უმჯობესია სიმართლეს თვალებში შევხედოთ და მომავალი შეჯიბრებებისთვის ძალა მოვიკრიბოთ.

მაშ ასე, დავუბრუნდეთ მინსკის საკავშირო ჩემპიონატს, თვალი გადავავლოთ ვეება დარბაზში ჩატარებულ ფიცხელ ორთაბრძოლებს, შეძლებისდაგვარად შევაჯამოთ ასპარეზობაში ქართველ მოფარიკავეთა გამოსვლა.., ერთი სიტყვით, ვნახოთ, რა დასკვნები და გაკვეთილები უნდა გამოიტანონ ქართველმა მოფარიკავეებმა ამ ჩემპიონატიდან.

უკანასკნელი ბრძოლა, ჩემპიონატის ბოლო აკორდი. ასე შეიძლება ვუწოდოთ ხმლით მოფარიკავეების მოსკოველი ილიუკისა და ქუთაისელი გაგულაშვილის შეხვედრას. ამ შეხვედრას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეეძლო საპრიზო ადგილების განაწილებაზე. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის ყველა მონაწილეს, ფინალის ყველა დამსწრეს სინანულის გრძნობა დაეუფლა. ასეთი გრძნობა გეუფლება მუდამ, როცა მთავრდება რომელიმე დიდი სპორტული დღესასწაული. მინსკის ესპადრონისტთა შეჯიბრება ამ მხრივ გამონაკლისი როდი იყო.

ჩემპიონატი ჩემთვის დიდი ხნით ადრე, რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. გახსოვთ ალბათ, რომ შარშან, დეკემბრის მიწურულში, თბილისი მასპინძლობდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მონაწილეებს. თავისუფალ დროს ხშირად ვესაუბრებოდი საბჭოთა ფარიკაობის აღიარებულ „კლასიკოსს", წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ესპადრონისტს დავით ტიშლერს. ამ ჩინებულმა სპორტსმენმა ფარიკაობა როდი მიატოვა. როგორც მწვრთნელი, როგორც სპორტის ერთ-ერთი შირვეული სახეობის თეორეტიკოსი, იგი დიდად ფასობს საფარიკაო სამყაროში. და აი, ტიშლერმა ჩემთან საუბარში გაამხილა ერთი საიდუმლო, რომელიც თვით სპეციალისტებისთვისაც კი ამოუცნობ პრობლემას წარმოადგენდა. ლაპარაკია სიდიაკზე, უძლეველ სიდიაკზე, რომელსაც ბოლო წლებში არათუ ჩვენში, არამედ მსოფლიოშიც კი ვერავინ მოუძებნა „გასაღები". ტიშლერი ამბობდა, რომ სიდიაკი უძლეველია და უძლეველი იქნება, ვიდრე ლეგენდარული ანთეოსივით გამარჯვების უშრეტ წყაროს ფლობს. მისი ძალა მდგომარეობს პირველ ყოვლისა სათცარ შემოქმედებაში, რომლითაც ვიქტორი ყველა მეტოქეს იოლად ამარცხებს. მოჯადოებული მოფარიკავეები მასთან ბრძოლისას აკეთებენ მხოლოდ იმას, რასაც სიდიაკი მოიგუნებებს. საკმარისია მეტოქეს აღმოაჩნდეს უნარი დაუპირისპიროს სიდიაკს თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტექნიკურ-ტაქტიკური ბრძოლის ნახაზი, რომ მინსკელი დიდოსტატი ჩვეულებრივ „მოკვდავად" იქცევა. ამ საუბარს ტიშლერმა მოაყოლა სპეციფიკური, მხოლოდ ფარიკაობის სპეციალისტებისთვის გასაგები დეტალები „მოჩვენებითი" ბრძოლისა სიდიაკსა და მის მეტოქეებს შორის.

„მოჩვენებითი" ბრძოლის ნაცვლად მინსკის ჩემპიონატში ვიხილეთ ნამდვილი, რეალური ბრძოლა სიდიაკსა და ნაზლიმოვს შორის. და უნდა ითქვას, ეს პაექრობა ისე წარიმართა, როგორც ნაზლიმოვს უნდოდა, და არა ისე, როგორც ეს საერთოდ სჩვეოდა სიდიაკს. ტიშლერის წინასწარმეტყველება ახდა. სიდიაკი ძვეულებურად მრისხანე იყო, მან ნაზლიმოვთან პრინციპული ბრძოლისთვის რთული, მოულოდნელობით აღსავსე ტაქტიკური სქემა გამოიყენა. მაშ რატომ დამარცხდა? საქმე ისაა, რომ მეტოქის არატრაფარეტულ ჩანაფიქრს ნაზლიმოვმა ეგრეთ წოდებული ზესიახლეები დაუპირისპირა. ეს იყო მართლაც ულამაზესი ორთაბრძოლა, რომელიც, სხვათა შორის, საუკეთესო გაკვეთილად გამოადგებოდა ყველა სპეციალისტსაც.

მაინც, რით იპყრობდა ორთაბრძოლა სპეციალისტთა ყურადღებას? თანამედროვე ფარიკაობამ იმ დონეს მიაღწია, როცა ტექნიკური მხარე შედარებით გათანაბრებულია (ვგულისხმობ მაღალი კლასის მოფარიკავეებს). ამის ნიმუში გახლავთ სწორედ სიდიაკ — ნაზლიმოვის შეხვედრა. და ასეთ ვითარებაში წინა პლანზე გამოდის მეტოქეთა ტაქტიკური აზროვნება, უფრო სწორად, ბრძოლის ტაქტიკური კომპოზიცია. აი, სწორედ ეს მომენტი გახდა ქვაკუთხედი სიდიაკ — ნაზლიმოვის პაექრობისა, რომელსაც პრაქტიკული ღირებულების გარდა დიდი თეორიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ ბრძოლაში აშკარად გამოჩნდა უმაღლესი საფარიკაო კლასის ნიშანთვისება — ტაქტიკური ჩანაფიქრის სიღრმე.

სამწუხაროდ, იგივე არ შეიძლება ითქვას ესპადრონისტთა სხვა ფინალურ შეხვედრებზე. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ფინალის მონაწილენი უფრო ნაკრების საგზურზე ფიქრით იყვნენ შეპყრობილი, ვიდრე ბრძოლისადმი შემოქმედებითი მიდგომით. აი, რატომ გამოჩნდა სხვა შეხვედრების ფონზე ასე თვალისმომჭრელად ზემოთ აღწერილი ბრძოლა.

ჩვენი მოფარიკავეები? ესპადრონისტთა ასპარეზობაში მათ ოთხი დელეგატი ჰყავდათ: ა. გაგულაშვილი, დ. შარაშენიძე, ა. კიკნაძე და თ. ესართია. ამ ოთხეულიდან მხოლოდ ესართიამ „მიატოვა" ტურნირი პირველივე საფეხურზე, მერვედფინალში მისი ბედი გაიზიარა დ. შარაშენიძემაც.

შარაშენიძე... მან დიდი ხანია მიიქცია ყურადღება, როგორც უაღრესად ნიჭიერმა ესპადრონისტმა. წლების მანძილზე დიმიტრი წარმატებით იცავდა იუნიორთა საკავშირო ნაკრების ღირსებასაც, არის არაერთი საერთაშორისო შეჯიბრების პრიზიორი. მაგრამ მაშინაც კი, როცა შარაშენიძეზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, სპორტსმენი ხშირად არათანაბრად გამოდიოდა ასპარეზობებში. იგრძნობოდა ნებისყოფის სიმტკიცის ერთგვარი უკმარობა, რამაც მას ცუდი სამსახური გაუწია. ასე იყო თუ ისე, დიმიტრი მაინც დიდ ძალას წარმოადგენდა ჩვენი ნაკრებისთვის. ერთ წელზე მეტია ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპორტსმენმა მოულოდნელად მიატოვა დიდი სპორტი. ასევე მოულოდნელად დაბრუნდა იგი ფარიკაობაში და უნდა ითქვას, ამან ერთბაშად აამაღლა რესპუბლიკის ნაკრების აქციები. მით უმეტეს, დიმიტრიმ, რომელსაც ფაქტიურად არ უვარჯიშია, წლეულს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა. ეს, დამერწმუნეთ, ბევრ ძლიერ „ნავარჯიშევ" სპორტსმენსაც გაუჭირდებოდა. ის, რაც საკმარისი აღმოჩნდა ზემოთ დასახელებული ტურნირისთვის, უკმარი იყო მინსკის ჩემპიონატისთვის. უნდა გენახათ, როგორ გონებამახვილურად, ლაღად, ტექნიკურად იბრძოდა შარაშენიძე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე. სამწუხაროდ, შემდგომ მას თითქოს გამოეცალა ძალა და მერვედფინალიდან მაყურებლებს შეუერთდა.

იქნებ ზოგიერთ მკითხველს მოეჩვენოს, რომ შარაშენიძეზე საუბარი გაგვიჭიანურდა. მაგრამ შარაშენიძისნაირი სპორტსმენის გამოზრდას ათობით წელი სჭირდება. ჩვენ კი, სამწუხაროდ, დღესდღეობით ძლიერ მოფარიკავეთა მძაფრ დეფიციტს განვიცდით. თუ შარაშენიძე გულმოდგინედ მოეკიდება წვრთნა-ვარჯიშს, დაუღალავად იმუშავებს ძველებური ფორმის დაბრუნებისთვის, იგი კვლავ თვალსაჩინო ძალად იქცევა საკავშირო სარბიელზეც, მით უმეტეს, რომ ამჟამად სპორტული ნიჭის სრული გაფურჩქვნის ხანაშია.

ერთობ დიდი ავანსი მიიღო ჩემპიონატამდე საქართველოს წლევანდელმა ჩემპიონმა თ. ესართიამ. ახალგაზრდა მოფარიკავე საკავშირო ნაკრების კანდიდატად დაასახელეს. ეს დიდი პატივია ყველა მუშკეტერისთვის. და რაოდენ გულდასაწყვეტი იყო, რომ ქართველ ესპადრონისტთა ახალი ტალღის ერთ-ერთი ლიდერი პირველსავე ეტაპზე გამოეთიშა ჩემპიონატს. შედეგს კიდევ არ მიაქცევდა კაცი ყურადღებას (48-ე ადგილი), ბრძოლის ხარისხი დამაკმაყოფილებელი რომ ყოფილიყო. ესართიას ფარიკაობა ჩემპიონატში სავარჯიშო ტურნირს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე უმაღლესი რანგის ასპარეზობას. რა არის ეს? შიში ძლიერი მეტოქეების წინაშე, თუ უპასუხისმგებლობა, რაც არა და არ შეშვენის ნაკრების კანდიდატს, ჩვენი ფარიკაობის ერთ-ერთ იმედს? სამწუხაროდ, მინსკის ჩემპიონატის მიხედვით — ერთიცა და მეორეც. ესართიასთვის მინსკის ფიასკო მეტად დამაფიქრებელი გაკვეთილი უნდა გახდეს.

და მაინც, ესპადრონისტთა საკავშირო ტურნირი ჩვენთვის ერთობ იმედიანად წარიმართა. გავიდეს რესპუბლიკის ერთ-ერთი წარმომადგენელი ნახევარფინალში, ხოლო მეორემ „უკვდავთა" შორის, ესე იგი ფინალში დაიმკვიდროს ადგილი — ეს სრულიადაც არ არის ხახუმარო საქმე. თანაც, გაითვალისწინეთ ისიც, რომ 1967 წლის შემდეგ ფარიკაობის არც ერთ სახეობაში ქართველი სპორტსმენი ფინალში არ გასულა! ეს შეძლო ქუთაისელმა ა. გაგულაშვილმა, რითაც დიდი იმედები ჩაგვისახა. ვიდრე გაგულაშვილის გამოსვლებზე ვიტყოდეთ რასმე, ჯერ კიკნაძეზე ვისაუბროთ.

ნახევარფინალში გასვლა ფარიკაობაში წარმატებაა, ხოლო ფინალი უკვე დიდ მიღწევად ითვლება. შემთხვევითი არ არის, რომ ნახევარფინალებს მინსკის ჩემპიონატში ვერ გასცდნენ მსოფლიო ჩემპიონები გ. კრისი, ვ. მოძოლევსკი, ს. პარამონოვი, ს. პრიხოდკო, ვ. ბაჟენოვი, ა. კარაჭიანი... ასეთ კომპანიაში მოხვდა ჩვენი კიკნაძეც. რა ვუყოთ, ნახევარფინალიდან ფინალამდე სულ ერთი ნაბიჯია, ხოლო ნახევარფინალისტები ძალით ხშირად ფინალისტებს არც ჩამოუვარდებიან.

კიკნაძის საფარიკაო პროგრესი აშკარაა. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, საკავშირო ნაკრების კანდიდატს მინსკის ჩემპიონატშიც საკმაოდ უჭირდა ესპადრონი. ბევრი შეხვედრა მან შესაფერი მონდომებით და, რაც მთავარია, მიზანსწრაფულად წარმართა. მაგრამ რატომ არ დამორჩილდა ნიჭიერ მოფარიკავეს ფინალური ზღუდე? ეს არ იქნება კრიტიკული შენიშვნები, როგორსაც „ჩვეულებრივი" მუშკეტერების მიმართ გამოთქვამენ. აქ ლაპარაკია უმაღლესი კლასის ფარიკაობაზე. კიკნაძის ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადება საკავშირო სტანდარტებს უახლოვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკრების წევრთა ოსტატობის დონეზე მაინც ვერ დგას. ის ნაკლოვანებანი, რაც შეიძლება არ გამოჩნდეს იუნიორთა, ანდა უფრო დაბალი რანგის საკავშირო ტურნირებში, მყისვე თვალში გეცემათ დიდ ჩემპიონატში. მინსკის ჩემპიონატი უმაღლესი საზომი იყო და კიკნაძემ, თუმცა თავი არ დაუზოგავს, მაინც ვერ გაიკაფა გზა ფინალში. ესე იგი, პროგრესი, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, უფრო უნდა დაჩქარდეს. საბედნიეროდ, კიკნაძე ჯერ სულ ახალგაზრდაა, თანაც მისი შრომისმოყვარეობა, ფარიკაობის ფანატიკური სიყვარული სრულ იმედს გვაძლევს, რომ ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში იგი უფრო ძლიერად იასპარეზებს.

გაგულაშვილი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფინალში გავიდა და ამით ყველაფერია ნათქვამი. ქუთაისელი მოფარიკავის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა. მან წლეულს, ისევე როგორც წინათ, ბევრი ოფლი ღვარა, მოიგო პროფკავშირების საკავშირო პირველობა, გაიმარჯვა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში, თავი ისახელა სხვა შეჯიბრებებშიც. ანზორი რამდენიმე წელია საკავშირო ნაკრების კანდიდატად ითვლება. გაგულაშვილი გამოირჩევა ბრძოლის ერთობ ორიგინალური, საინტერესო ხელწერით. იგი სხვებივით არ ფარიკაობს, განსხვავებულია მისი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალიც, აქვს უჩვეულო იმპროვიზაციის უნარი. რაც შეეხება შრომისმოყვარეობას, არც ეს ესწავლება სხვებისგან. ყველა ეს კომპონენტი მისი სტაბილური გამოსვლების საფუძველია. დაუმატეთ ყოველივე ამას მისი, როგორც გუნდური მებრძოლის ღირსებები და თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რით მიაღწია ბუნებრივი მონაცემებით არცთუ განებივრებულმა სპორტსმენმა თვალსაჩინო წარმატებას.

ფინალში გაგულაშვილის გამოსვლა ყველამ ლოგიკურ ამბად მიიჩნია. მერე კი ყველას უკვირდა, რატომ იბრძოდა იგი ასე უფერულად. კაცი იფიქრებდა, ფინალში გასვლის გარდა არაფერი სდომებიაო. ქუთაისელი მოფარიკავე, უბრალოდ, არ იბრძოდა. სულ ტყუილად. მას ბევრი ფინალისტი შეეძლო „გაემწარებინა". ასეთი პასიური გამოსვლით კი რას მიაღწია? — მხოლოდ ბოლო, მეექვსე ადგილს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ისევ და ისევ სპარტაკიადა გვიდგას თვალწინ და ვინძლო იქ მაინც გვასახელოს უდავოდ ნიჭიერმა სპორტსმენმა.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი
(ჩვენი სპეც. კორ.).

მინსკი — თბილისი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



## ცოდნას იმაღლებენ

თბილისში აღმოსავლეთ საქართველოს ზონის 62 ფიზაღზრდის მასწავლებელი გადის ერთთვიან სემინარს (პარალელურად ასეთივე სემინარები ტარდება ქუთაისის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ზონებში). ღონისძიება განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზაღზრდის კაბინეტმა მოაწყო. სასკოლო პროგრამის ყველა სახეობაში მასწავლებლებს პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობებს უტარებენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და მწვრთნელთა სკოლის გამოცდილი პედაგოგები.

კითხვაზე, თუ რა მიზანი აქვს ამ სემინარებს, მეთოდური კაბინეტის გამგემ შ. მუხიგულაშვილმა გვიპასუხა: — სპორტი სწრაფად მიიწევს წინ და ამ აღმავლობას არც ფიზაღზრდის მასწავლებლები უნდა ჩამორჩნენ. სემინარების მიზანი სწორედ ისაა, რომ ფიზაღზრდის მასწავლებლებს გავაცნოთ ყოველგვარი სიახლე. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში, რომელიც ალმა-ათაში საკავშირო სპარტაკიადაში დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას, პერიფერიის სპორტსმენებიც არიან. მომავალში მათი რიცხვის გაზრდა ბევრადაა დამოკიდებული სწორედ ფიზაღზრდის მასწავლებელთა ოსტატობაზე.

ზ. ზაქარაიშვილი.

* * *

სურათებზე: ფიზაღზრდის მასწავლებლები სრულყოფენ სტარტის ტექნიკას; მწვრთნელთა სკოლის მძლეოსნობის უფროსი მასწავლებელი გ. საქუაშვილი სიონმშენის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს ნ. ბეცეცაშვილს ბირთვის კვრაში ავარჯიშებს.

ავტორის ფოტოები.



## ორ რეგატაში

კიევის ახალგაზრდულ საერთაშორისო რეგატაში, რომელიც ამას წინათ გაიმართა, საქართველოს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. მათგან ყველაზე კარგად იასპარეზეს ერთადგილიანით ქუთაისის დინამოელმა ვ. აბაზაძემ, რომელმაც 21 ეკიპაჟს შორის IV ადგილი დაიკავა, და რვაადგილიანის ეკიპაჟმა, რომელმაც მხოლოდ ლენინგრადის გუნდთან წააგო.

ამავე დროს ტრაკაიში ჩატარდა საერთაშორისო რეგატა „ქარვის ნიჩბები", რომელშიც სსრ კავშირის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატები გამოდიოდნენ. საქართველოს ქალთა ეკიპაჟებმა ამ შეჯიბრებაში ორი IV ადგილი დაისაკუთრეს: ც. ალავიძემ ერთადგილიანებით რბოლაში, და რვაადგილიანის ეკიპაჟმა.



# „პრავდის" პრიზზე

როგორც კი ბადროს ტყორცნის სექტორში ფაინა მელნიკი შედგამს ფეხს, ჰაერში მყისვე „რეკორდის სუნი" უნდა დატრიალდეს. ასე იყო ლუჟნიკში 21 ივნისის საღამოს, „პრავდის" პრიზზე ასპარეზობის დროს. მეორე ტყორცნის შემდეგ ფაინას ბადრო იმ სიმაღლეზე და ისეთი ტრაექტორიით გაფრინდა, გეგონებოდათ ხელოვნურ თანამგზავრად იქცაო. იგი სულ ახლოს დაეცა მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელ ნიშანთან: ტაბლოზე აინთო ციფრები — 68,00. კიდევ რამდენიმე ცდის შემდეგ შეიძლებოდა ფაინას შედეგი 70,00 გამხდარიყო, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. რას იზამ, მსოფლიო რეკორდები ყოველდღე არ მყარდება. ფაინამ ეს მიღწევა წლევანდელ სეზონში ხომ უკვე ორჯერ გააუმჯობესა.

სიმაღლეზე ხტომის სექტორში ვაჟები ასპარეზობდნენ. თამასა უჩვეულო სიმაღლეზე — 231 სმ-ზე იყო გადებული, რაც მსოფლიო რეკორდზე მეტია. ამ სიმაღლეზე იერიში მიიტანა მოსკოველმა სპორტსმენმა, ქარხანა „სერპ ი მოლოტის" ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლის მასწავლებელმა ვ. აბრამოვმა. ათლეტმა რეკორდი ვერ დაამყარა, მაგრამ მანამდე დამაჯერებლად დაძლია 224 სმ. ეს იყო წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგი ევროპაში.

ხტომის სექტორში სასიამოვნო ამბავი მოხდა: „220-ანთა კლუბს" კიდევ ერთი სპორტსმენი შეემატა. „დიდოსტატური სიმაღლე" გადალახა 19 წლის მალახოვკელმა სტუდენტმა ს. მოლოტილოვმა. მან თავის პირად რეკორდს 8 სანტიმეტრი დაუმატა, ეს რეკორდი კი სულ ახლახან — მაისის დამდეგს იყო დამყარებული. მოლოტილოვს წვრთნის წარსულში ცნობილი მხტომელი ვ. დეგტიარიოვი.

ბირთვის კვრის სექტორში მძლეოსნობის მოყვარულებმა წლევანდელ სეზონში პირველად იხილეს მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი ნ. ჩიჟოვა. ლენინგრადელი სპორტსმენი დამაჯერებლად პირველობდა. მისი შედეგია 20,78 მ.

ბირთვის მკვრელ ვაჟთა შეჯიბრებაში 20-მეტრიანი ზღვარი გადალახეს ლენინგრადელმა ვ. ვოიკინმა და ლიტველმა რ. პლუნგემ. ვოიკინის შედეგია 20,18, პლუნგესი — 20,06.

გთავაზობთ 21 ივნისის საღამოს გამარჯვებულთა კიდევ რამდენიმე შედეგს (იმ დღეს სულ 14 ოქროს მედალი გათამაშდა):

ქალები. 800 მ. ს. შტულა — 2.03,2. ვაჟები. უროს ტყორცნა. ა. სპირიდონოვი (ლენინგრადი) — 73,86 მ. სიგრძეზე ხტომა. ვ. პოდლუჟნი (დონეცკი) — 789 სმ.

ზ. ზუხიშვილი.
(სპეციალური კორ.).

# მძლეოსნურ მერიდიანებზე

პრაღა, 21 ივნისი. ვ. როშიცკის ტრადიციულ მემორიალში 19 წლის რიგელმა ი. კარლსონმა „ფოსბიურის" სტილით 223 სმ სიმაღლე გადალახა. ეს შედეგი ლატვიის რეკორდია. ვაჟთა შორის შუბის ტყორცნაში იმარჯვა ლატვიელმა ი. ზირნისმა — 81,36. შარშანდელი მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონმა, რიგელმა ი. სილოვმა 100 მეტრი 10,2 წამში გაირბინა, მაგრამ მხოლოდ III ადგილი დაიკავა. ფინიშთან პირველი მიიჭრა ხ. ლეონარდო (კუბა) — 10,1. მანვე მოიგო 200 მეტრზე რბენა — 20,68. 400 მეტრზე თარჯრბენში ი. კოდეიმმა ჩეხოსლოვაკიის რეკორდით გაიმარჯვა — 49,1. მ. მიუბნეროვა (ჩეხოსლოვაკია) 186 სმ სიმაღლეზე გადახტა.

ვარშავა, 21 ივნისი. პოლონელ სტუდენტთა შეჯიბრებაში ტ. სლიუსარსკი ჭოკით 542 სმ სიმაღლეზე გადახტა. ეს წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი და პოლონეთის რეკორდია.

ლონდონი, 21 ივნისი. გდრ-ისა და დიდი ბრიტანეთის ძლიერთა მძლეოსან ვაჟთა გუნდების მატჩი სტუმრებმა მოიგეს — 123:86. აი, რამდენიმე მაღალი შედეგი: ხ. მიულერმა ბადრო 61,58 მეტრზე ტყორცნა, ხ. ლოშმა — 61,44 მეტრზე. ჰ.-პ. იუსტუსმა (ყველა — გდრ) 1500 მეტრზე 3.38,8 აჩვენა, დ. ჯენკისმა 400 მეტრზე რბენაში 45,8 წამი, ხოლო თ. სიმონსმა (ორივე — დიდი ბრიტანეთი) 5 კილომეტრის გარბენას 13.28,8 მოანდომა. 3 კილომეტრზე ქალთა საჩვენებელ გარბენში ინგლისელმა ჯ. სმითმა წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი (9.04,4) აჩვენა. ეს დიდი ბრიტანეთის რეკორდია.

# თასი მოიპოვეს

უჟგოროდში ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა თასის გათამაშება ჩოგბურთში. ამ ასპარეზობაში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ღირსებას იცავდა თბილისის არმიის სპორტკლუბის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თ. კაკულია, გ. ახალაძე და ვ. ოსიპოვა.

თბილისელებმა პირველი შეხვედრა მოუგეს ოდესის სამხედრო ოლქის ნაკრებს — 2:1, შემდეგ კი ასეთივე ანგარიშით ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის ნაკრების ჩოგბურთელები დაამარცხეს.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ თბილისელი და მოსკოველი სპორტსმენები. მოსკოვის გუნდში სხვა გამოცდილ ოსტატებთან ერთად გამოდიოდა ვ. ეგოროვი. თბილისელთა უპირატესობა ამ შეხვედრამიც აშკარა იყო. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0 და გარდამავალი თასი დაიმსახურეს.

ბ. ხარაძე,
სპორტის ოსტატი.

# სპარტაკიადის პროგრამით

კასპის სპორტდარბაზში გაიმართა „კოლმეურნის" რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთსა და კალათბურთში.

ფრენბურთელთა ტურნირში მონაწილეობდა 13 გუნდი. ვაჟთა შორის თავი გამოიჩინეს ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა, II ადგილზე დოესელი ფრენბურთელები გავიდნენ, III — ქვათახევის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები. I ადგილი ქალებშიც ზემოხანდაკელებს დარჩათ. II ადგილი ხვდა ნოსტეს კოლმეურნეობის გუნდს, III — კასპის რაიკოოპერატივის ფრენბურთელთა კოლექტივს.

კალათბურთელთა ტურნირში ვაჟთა 9 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვება აქაც ზემო ხანდაკის სპორტსმენებმა იზეიმეს.

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).

[illegible]

✦ ზუგდიდი

საინტერესოდ მიმდინარეობდა ნორჩ ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე.

გათამაშების გადამწყვეტი მატჩები შედგა ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე. შეხვედრებს მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო. უმცროსი ასაკის ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდა ხოსე დიასის ქუჩის წარმომადგენელს — „ყაყაჩოს", ხოლო უფროსი ასაკის გუნდებში — „მერცხალს" (მახარაძის ქუჩა).

ჰ. ფიფია.

### ვ. კუხიანიძის დაბადების 60 წლისთავის გამო

# მისი ხელით გამოჭედილი ვარსკვლავი

ბევრჯერ მქონია მასთან გულახდილი საუბარი, ბევრჯერ მიმიღია საქმიანი რჩევა-დარიგება. ჭიდაობის საკითხებში ღრმად არის განსწავლული და წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნას ხალისით უნაწილებს სხვებს.

ვახტანგ კუხიანიძემ თავისი ცხოვრების ზუსტად 40 წელი საყვარელ საქმეს — ჭიდაობას შესწირა და, როგორც ნამდვილ შემოქმედს შეშვენის, გაიარა გზა უბრალო ჯარისკაციდან გენერლამდე. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მოჭიდავე იყო, მერე საქართველოს და ამიერკავკასიის ჩემპიონი. ახალგაზრდა თაობის აღზრდა იმთავითვე კარგად დაებედა, მერე კი, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელი გახდა (დიახ, გუნდებისა და არა გუნდისა), დიდი დამსახურება მიუძღოდა ჩვენი მოჭიდავეების ყველა თვალსაჩინო წარმატებაში.

ჭიდაობის ცოცხალ ენციკლოპედიას ეძახიან მას დღესაც. ეს შინაურულად. ოფიციალურად კი ვახტანგ კუხიანიძე ყველა საპატიო ტიტულის მფლობელია.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე! ახლა რამდენ ახალგაზრდას აუხილა თვალი, რამდენს შეაყვარა სპორტი, დააყენა ფეხზე და მერე მამაშვილურად დაულოცა გზა დიდ სპორტში? ამ უნიკალური რეკორდის გაუმჯობესება მართლაც ძნელია, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თვით ვახტანგ კუხიანიძეს არასოდეს უფიქრია რეკორდზე. იგი მხოლოდ ხარჯს უხდიდა თავის საყვარელ საქმეს, მუშაობდა მთელი სულითა და გულით, პატიოსნად, კუხიანიძისებურად.

რატომ უყვარს ქართველ ახალგაზრდას ჭიდაობა, როგორ, რა მექანიზმებით სწავლობს იგი ხარმასა და მოგვერდს „აკვანშივე"? ძნელი ამოსახსნელია. ამ საიდუმლოებაზე ზუსტ პასუხს ვერც ვახტანგ კუხიანიძე გაგცემთ, თუნდაც თავისი ბავშვობა და სიყმაწვილე გაიხსენოს...

... ხშირად ჩადიოდა ქუთაისში ნათესავებთან სტუმრად. ქვარიანების უბანში, თაბუკაშვილის ჩიხთან ახლოს, ისიც ცდიდა ხოლმე მკლავისა და მუხლის ძალას. ასე საქართველოში ყოველი მეორე ახალგაზრდა ჭიდაობს. და ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მათგანი უეჭველად მოჭიდავე უნდა გახდეს. მაგრამ ვახტანგი თავისდა უნებურად მოიხიბლა ჭიდაობით და მერე უკვე არასდროს უღალატნია მისთვის.

ნამდვილი სპორტული ბიოგრაფია თბილისის „პიშჩევიკის" დარბაზიდან იწყება. აქ ჩაეყარა საძირკველი მისი ცხოვრების თავფურცელს. ლ. კაპიტანოვთან, ლ. ძეკონსკისთან, პ. იორდანიშვილთან და ნ. აკოფოვთან დაახლოებამ განამტკიცა მისი რწმენა. და დაიწყო...

შრომა, სწავლა, ვარჯიში... ისევ სწავლა, ისევ ვარჯიში.

ადამიანი რომ მიზანს დაისახავს, აუცილებლად მისი უსიტყვო მიმდევარი უნდა გახდეს, თუ გნებავთ, ფანატიკოსიც. მიზნისთვის ბრძოლა ძნელია მეტწილად გაუთვალისწინებელ სირთულეთა გამო, მაგრამ ჭეშმარიტად მტკიცე ხასიათი არ უშინდება ამ სირთულეებს. ვახტანგ კუხიანიძეს არასდროს გამოუთქვამს უკმაყოფილება თავისი „მძიმე" ხვედრის გამო. პირიქით, უსიტყვოდ მიიკვლევდა გაუკვალავ გზას, ხარბად, ხალისით ეწაფებოდა ყოველივე ახალს, პროგრესულს.

ახალი კი იმხანად ბევრი იყო. კლასიკური ჭიდაობა ორგანიზებული სპორტის სახეს იღებდა. საძირკველი ეყრებოდა თავდაცვის მეტად ორიგინალურ კომპლექსს — სამბოს. ნელნელა მყიფდებოდა ნიადაგი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველი საკავშირო ჩემპიონატის ჩასატარებლად. ვახტანგ კუხიანიძე, როგორც მუდამ, ამ სიახლეთა შუაგულში აღმოჩნდა. როგორც მოჭიდავე, იგი ვალდებული იყო ბოლომდე გარკვეულიყო ყველა ნიუანსში, როგორც მწვრთნელს, დღენიადაგ ახალგაზრდების დაოსტატებისთვის უნდა ეზრუნა, ხოლო, როგორც მოქალაქე და ჭიდაობის უანგარო პატრიოტი, თანამემამულეთა დიდ წარმატებებზე ოცნებობდა.

ასი თვალი და ასი ყური უნდა ჰქონდეს, ამ დაძაბულ ბრძოლაში რაიმე რომ არ გამოეპაროს, განზე რომ არ დარჩეს, სხვებმა რომ არ გაჯობონ. ვახტანგს მახვილი თვალი ჰქონდა და, როცა საქართველოში მძიმე წონის მოჭიდავეთა ძიების ტალღა აზვირთდა, ისიც დაუფიქრებლად გადაეშვა მორევში.

მე ასე ვფიქრობ: თუ მწვრთნელს თავისი მოღვაწეობის მანძილზე თუნდაც ერთი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს გაზრდილი, — მას ვალი მოხდილი აქვს სპორტისა და ერის წინაშე. ვახტანგ კუხიანიძე ტალანტების აღმოჩენის არაჩვეულებრივი ნიჭით არის დაჯილდოებული. ეს მისი მეექვსე გრძნობაა, საიდუმლოება, რომელსაც თვითონაც კარგად ვერ აგიხსნით.

სწორედ ამ მეექვსე გრძნობამ მიიყვანა ვახტანგ კუხიანიძე გიორგიწმინდელ გოლიათამდე — მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ არსენ მეკოკიშვილამდე. ადვილი სათქმელია, არსენ მეკოკიშვილის მწვრთნელი იყო. ვინმე ალბათ შემომედავება კიდეც, რაში სჭირდებოდა მწვრთნელი მეკოკიშვილსო. დავეთანხმები, თუმცა იმასაც ვიტყვით, რომ ყოველნაირ ნიჭს წარმართვა სჭირდება. მაგრამ სპორტისთვის, ჭიდაობისთვის მეკოკიშვილის აღმოჩენა პატარა საქმეა განა? და განა მარტო მეკოკიშვილისა?

მეკოკიშვილისა და კუხიანიძის ურთიერთობა ერთი დიდი მოთხრობის თემაა. ამ მოთხრობაში შეიძლება ილაპარაკო იმის შესახებ, თუ როგორ დაუმეგობრდა ერთმანეთს ორი მონათესავე სული, როგორ გამოიწრთო და განმტკიცდა ვაჟკაცის ხასიათი, როგორ გადაიქცა გიორგიწმინდელი მოჭიდავე მსოფლიოს უპირველეს ფალავნად ან როგორ ხელმძღვანელობდა სპორტსმენის ჩამოყალიბების პროცესს დაუღალავი მწვრთნელი.

იგი დაუღალავია დღესაც, ცხოვრების ექვსი ათეული წლის მიჯნაზე. მაშინ კი, ოდნავ მეოცნებე, მაგრამ გამრჯე და მუყაითმა ახალგაზრდამ არ იცოდა, რა არის მოხვენება. იგი მუდამ ძიებაში იყო და ამ ძიების საფასურად ჩვენს საჭიდაო სკოლას გაუმრავლა ჩემპიონები: შალვა ჩიხლაძე და ესტატე ქარქუსაშვილი, ოთარ კანდელაკი და შოთა დაუშვილი, ნიკოლოზ მუზაშვილი და სერგო გაბარაევი, ოთარ შინჯიკაშვილი და... ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი ფალავანი.

ჰელსინკის ოლიმპიადის წინ ვახტანგ კუხიანიძე სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი იყო კლასიკურ და თავისუფალ (!) ჭიდაობაში. საბჭოთა სპორტის პირველი დიდი ოლიმპიური ტრიუმფი სხვა მწვრთნელებთან ერთად ვახტანგ კუხიანიძის ხელითაცაა გამოჭედილი. იგი მეთაურობდა საბჭოთა „კლასიკოსების" პირველ დიდ წარმატებას ნეაპოლშიც (სწორედ აქ დაიწყო გივი კარტოზიას გამარჯვებათა სათვალავი).

მერე კი ისევ საყვარელ თბილისს დაუბრუნდა და დღემდე ხელმძღვანელობს ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა ცხოვრებას.

ვახტანგ კუხიანიძეზე ამბობენ, ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებულიო. ჩვენც ვიზიარებთ ამ აზრს, ოღონდ ერთი დამატებით. ეს ვარსკვლავი ვახტანგ კუხიანიძემ თავისი ხელით გამოჭედა ამ ბოლო 40 წლის მანძილზე.

ნ. გუგუშვილი.

ეს ფოტოსურათი გადაღებულია 1958 წელს ნეაპოლში, „კლასიკოსთა" მსოფლიო ჩემპიონატის დროს. ვახტანგ კუხიანიძე მაშინ სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო.

• • •

სურათზე: ვ. კუხიანიძე (მარცხნიდან მეორე), ს. რაბაევი, ს. ვარდანიანი, ი. კოტკასი და უცნობი მსაჯი, წინა პლანზე — ვ. სტაშკევიჩი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# მძიმე და საინტერესო ბრძოლის 120 წუთი



მოსკოვი. „დინამოს" ცენტრალური სტადიონი. 21 ივნისი.

„დინამო" (მოსკოვი)—„დინამო" (თბილისი) 8:1 (0:0, 2:0).

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი, ნიკულინი, ზიკოვი, დოლბონოსოვი, პუდიშევი (პეტრუშინი), ბაიდაჩნი, კოზლოვი, მახოვიკოვი (გავრილოვი), პავლენკო, ევრიუჟიხინი.

თბილისი: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, მუჯირი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (გავაშელი), ქანთარია (ლ. ნოდია), წერეთელი.

მსაჯი კ. სმირნოვი (ლენინგრადი).

თბილისის დინამოელები მოსკოვში სოლიდური მარაგით ჩამოვიდნენ: 2 ბურთის სხვაობა საკმაო ფორა იყო, მაგრამ ეს მაინც არ იძლეოდა გამარჯვების ასპროცენტიან გარანტიას. ამიტომ საქართველოს დედაქალაქის დინამოელთა მეორე მეოთხედფინალური მატჩი სსრ კავშირის თასზე მოსკოველ თანაკლუბელებთან საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში უნდა წარმართულიყო. ორივე მხარემ სწორი ტაქტიკა აირჩია. მასპინძლები გამუდმებით იერიშზე უნდა ყოფილიყვნენ, რომ სასურველი შედეგისთვის მიეღწიათ, თბილისელებს თავიანთი მოქმედება კონტრშეტევებზე უნდა აეგოთ. მატჩი სანახაობრივი თვალსაზრისით მართლაც კარგი გამოვიდა. ჩემი და, შეიძლება ითქვას, ყველას აზრით ასეთი დრამატული, საინტერესო სიტუაციებით აღსავსე საფეხბურთო ასპარეზობა მოსკოველებს ამ სეზონში არ უნახავთ. სახიფათო მომენტები ორივე მეტოქის კართან მრავლად იყო და 120 წუთის განმავლობაში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე შეკრებილ მაყურებელს მოცლა არ ჰქონდა. დედაქალაქელმა დინამოელებმა მთელი თამაში ბაიდაჩნის სწრაფ გასვლებზე ააგეს. ეს უკანასკნელი ბევრს მოძრაობდა და ხელსაყრელ მომენტებსაც უქმნიდა პარტნიორებს. ძალიან აქტიურობდა ევრიუჟიხინიც, რომელსაც ხან ერთ ფლანგზე ვხედავდით, ხან მეორეზე, ხან გამთამაშებლის, ხან კი შემტევი თავდამსხმელის როლში. თბილისელები მოქმედებას კონტრშეტევებზე აგებდნენ და ეს სწორიც იყო. დრო მათს სასარგებლოდ „მუშაობდა" და ასაჩქარებელი არაფერი ჰქონდათ.

ჩინებულად ითამაშა სტუმრების დაცვამ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. გუნდის ეს რგოლი აუღელვებლად, დიდი ოსტატობით იგერიებდა მასპინძლების სახიფათო შეტევებს. თავდაუზოგავად შრომობდა მ. მაჩაიძე. გონებამახვილური, ზუსტი გადაცემებით გამოირჩეოდა გუნდის კაპიტანი ასათიანი.

სტუმრებს პირველი ოცი წუთის განმავლობაში მეტოქის კართან სახიფათო მომენტები მაინცდამაინც არ შეუქმნიათ, მაგრამ მერე წერეთელმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა მოსკოველთა კარში და თითქოს ამით შეტევების დაწყების სიგნალი მისცა პარტნიორებს, რომლებიც უფრო ამოქმედდნენ და მასპინძლები კარგა ხნით მიაჯაჭვეს თავიანთი კარის მისადგომებს.

პირველი ტაიმის დრო იწურებოდა. გოლი კი არ ჩანდა და თბილისის დინამოელთა პირველი მეოთხედფინალური მატჩის ბურთების მარაგიც შეუცვლელი რჩებოდა.

შესვენების შემდეგ იგივე სურათი განმეორდა: მოსკოველები უტევდნენ, თბილისელები უფრო დაცვაზე ფიქრობდნენ. ამ საქმეში გამოცდილ ძოძუაშვილს, ჭელიძესა და ებრალიძეს ჩინებულ პარტნიორობას უწევდნენ ახალგაზრდა მუჯირი და უკან დახეული ნახევარმცველი გ. მაჩაიძე.

59-ე წუთზე მასპინძლებმა „საქმე წინ წასწიეს", როცა კოზლოვი შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. იმავე წუთებში წერეთელს შეეძლო თანაფარდობის აღდგენა, მაგრამ ცოტა იჩქარა და მისი დარტყმა უზუსტო გამოდგა. გადიოდა წუთები და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები საერთო დამარცხებას ვერ გადაურჩებოდნენ, მაგრამ მარცხენა ფლანგზე გაჭრილი კოზლოვის შეჩერება თბილისელმა მცველებმა ვერ შეძლეს და მეტოქეთა შანსები გათანაბრდა. ეს მოხდა თამაშის 82-ე წუთზე.

თანაფარდობა აღდგა. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი 30 წუთი.

ასეთი მომქანცველი, 90-წუთიანი მატჩის შემდეგ ძალიან ძნელია კვლავ ენერგიულად და შემართებით თამაში, მაგრამ დამატებითს 30 წუთს ეს არ დასტყობია. მატჩის მონაწილეებს თითქოს ახალი ენერგია შთაბერესო და კვლავ საინტერესო მომენტებით აღსავსე თამაშის მოწმენი გავხდით. ერთ-ერთი შეტევისას, რომელშიც მეკარე პილგუის გარდა მონაწილეობდა ყველა მოსკოველი ფეხბურთელი, მასპინძლებმა შეძლეს მიზნისთვის მიეღწიათ. პავლენკოს უძლიერესი დარტყმა თბილისელების მეკარე გაგოშიძემ ვერ მოიგერია. მოსკოველები დაწინაურდნენ. ეს მოხდა 95-ე წუთზე. ახლა თბილისის დინამოელები აღმოჩნდნენ მდევრების როლში და ისინი გადამწყვეტ შტურმზე გადავიდნენ. ამ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მ. მაჩაიძე, რომელიც ჩემი აზრით, საუკეთესო იყო სტუმართაგან, მაღალტექნიკური დრიბლინგით გაიჭრა მოსკოველთა კარის სიახლოვეს და არც ისე ძლიერად დაარტყა პილგუის კარში, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბურთი ვერ მოიგერია და იგი მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

მეტოქეთა შანსები კვლავ გათანაბრდა. გამარჯვებული 11-მეტრიანი დარტყმების სერიას უნდა დაესახელებინა. და აი, დადგა მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი. პირველად წერეთელმა დაარტყა და წარმატებითაც. ევრიუჟიხინმა კვლავ აღადგინა წონასწორობა. ჭელიძის, პეტრუშინის, ლ. ნოდიას, ბასალაევის დარტყმებიც ზუსტი გამოდგა. როცა გავაშელმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი, კოზლოვმა, რომელმაც ამ მატჩში ორი ბურთი გაიტანა, მართალია, ზუსტად დაარტყა, მაგრამ მეკარე გაგოშიძემ იმარჯვა და კარი გადაარჩინა. თბილისელების გამარჯვებაში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ძოძუაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ახლა მასპინძლებს გაუჩნდათ მატჩის გადარჩენის იმედი. კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა გაგოშიძემ, რომელმაც ოსტატური ნახტომით იხსნა კარი პავლენკოს დარტყმის შემდეგ.

ამრიგად, თბილისელები გავიდნენ გათამაშების ნახევარფინალში, სადაც მათ კიეველი თანაკლუბელები ელოდებიან.

მ. პავლოვი.
(ტელეფონით).

## ნახევარფინალისტები ცნობილი არიან

გუშინწინ კიევში, ვოროშილოვგრადსა და დონეცკში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირის მეორე მატჩები.

კიევში ადგილობრივი „დინამო", რომელმაც პირველ მატჩში დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" შინ მოუგო ანგარიშით 3:2, რთული ამოცანის წინაშე როდი იდგა, მაგრამ შეხვედრა თავიდან მაინც მისთვის არასასურველად წარიმართა. ანგარიში „დნეპრის" ფეხბურთელებმა გახსნეს. „დინამომ" მდგომარეობის გამოსწორება მაინც შეძლო და ეს შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 2:1.

ვოროშილოვგრადის „ზარიას" მატჩი მოსკოვში „სპარტაკთან" ფრედ (0:0) ჰქონდა დამთავრებული. ახლა მასპინძლებმა ერთი გოლის გატანა შეძლეს და „სპარტაკი" თასის გათამაშებიდან გამოთიშეს.

დონეცკის „შახტიორს" თავის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებულ ერევნის „არარატთან" ერთი გოლით მოგებაც ჰყოფნიდა, ვინაიდან დონეცკელები ერევანში დამარცხდნენ ანგარიშით 1:2. უშეღავათო ბრძოლაში „შახტიორმა" უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებას მიაღწია — 3:0.

ამრიგად, ოთხივე ნახევარფინალისტის ვინაობა ცნობილია. ნახევარფინალებში ორ-ორ მატჩს გამართავენ „ზარია" — „შახტიორი", აგრეთვე, კიევისა და თბილისის დინამოელები.

## სსრ კავშირის პირველობა



### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (ვოლოგდა) | 15 | 9 | 3 | 3 | 25—12 | 21 |
| „დინამო" (ბათუმი) | 14 | 7 | 6 | 1 | 17—4 | 20 |
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 15 | 9 | 2 | 4 | 19—9 | 20 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 13 | 8 | 3 | 2 | 19—8 | 19 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 14 | 8 | 2 | 4 | 22—11 | 18 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 14 | 7 | 3 | 4 | 19—13 | 17 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 15 | 8 | 0 | 7 | 21—17 | 16 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 14 | 6 | 4 | 4 | 17—19 | 16 |
| „დილა" (გორი) | 14 | 6 | 3 | 5 | 24—16 | 15 |
| „ურალანი" (ელისტა) | 14 | 6 | 3 | 5 | 15—15 | 15 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 14 | 3 | 8 | 3 | 21—20 | 14 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 14 | 5 | 4 | 5 | 18—20 | 14 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 15 | 6 | 1 | 8 | 13—17 | 13 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 14 | 4 | 4 | 6 | 15—18 | 12 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 14 | 3 | 5 | 6 | 12—15 | 11 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 14 | 3 | 4 | 7 | 10—18 | 10 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 15 | 4 | 2 | 9 | 13—22 | 10 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 14 | 3 | 4 | 7 | 12—29 | 10 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 14 | 3 | 2 | 9 | 6—19 | 8 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 14 | 2 | 1 | 11 | 11—27 | 5 |

## უიმბლდონი უძლიერესებს უხმობს

ჩოგბურთელთა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც უიმბლდონის ბალახის კორტებზე გაიხსნება 24 ივნისს, უდიდეს ინტერესს იწვევს. საკმარისია ითქვას, რომ ცენტრალურ კორტზე ყველა ბილეთი სპეციალურად ჩატარებული კენჭისყრით ჯერ კიდევ თებერვალში გაიყიდა.

ტრადიციით, შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტმა მოახდინა უძლიერეს მონაწილეთა განთესვა. ეს პატივი, როგორც იტყვიან, ძველი დამსახურებისთვის ხვდა რვა ქალს, თორმეტ ვაჟს, რვა ვაჟთა, ოთხ ქალთა და ოთხ შერეულ წყვილს.

გაგაცნობთ ტურნირის ფავორიტებს ხუთივე თანრიგში.

ქალები. 1. ბილი-ჯინ კინგი (აშშ), 2. კრის ევერტი (აშშ), 3. ივონ გულაგონგი (ავსტრალია), 4. როზმარი კაზალსი (აშშ), 5. ვირჯინია უეიდი (დიდი ბრიტანეთი), 6. კერი მელვილი (ავსტრალია), 7. ნენსი განტერი (აშშ), 8. ოლგა მოროზოვა (სსრ კავშირი).

ვაჟები. 1. ჯონ ნიუკომბი (ავსტრალია), 2. ილიე ნესტასე (რუმინეთი), 3. ჯიმი კონორსი (აშშ), 4. სტენ სმითი (აშშ), 5. ბიორნ ბორგი (შვეცია), 6. იან კოდეში (ჩეხოსლოვაკია), 7. ტომ ოკერი (ჰოლანდია), 8. არტურ ეში (აშშ), 9. კენ როზუოლი (ავსტრალია), 10. ალექსანდრე მეტრეველი (სსრ კავშირი), 11. ტომ გორმენი (აშშ), 12. მანუელ ორანტესი (ესპანეთი).

ვაჟთა წყვილები. 1. კონორსი — ნესტასე. 2. მიიუიტი — მაკმილანი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), 3. სმითი — ლუტცი (აშშ), 4. ნიუკომბი — როჩი (ავსტრალია), 5. ეში — ტანერი (აშშ), 6. როზუოლი — დევიდსონი (ავსტრალია), 7. დრისდეილი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — ოკერი, 8. ალექსანდერი — დენტი (ავსტრალია).

ქალთა წყვილები. 1. კინგი — კაზალსი, 2. დიური (საფრანგეთი) — სტოუვი (ჰოლანდია), 3. მოროზოვა — ევერტი, 4. ჰელდმენი (აშშ) — უეიდი.

შერეული წყვილები. 1. კინგი — დევიდსონი, 2. ევერტი — კონორსი, 3. მოროზოვა — მეტრეველი, 4. გულაგონგი — უორვიკი (ავსტრალია).

მაშ ასე, უახლოეს ორშაბათს უიმბლდონი სასპარეზოდ უხმობს მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს.

## ტრადიციულ მატჩზე

14 წლის წინათ ჩაეყარა საძირკველი ბულგარეთისა და სსრ კავშირის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულ სამატჩო შეხვედრებს. შარშან ასეთ შეხვედრას მოსკოვი მასპინძლობდა, წლეულს კი ტანმოვარჯიშეები სოფიაში მოიყრიან თავს.

ტანმოვარჯიშეები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით იასპარეზებენ, რაც შეჯიბრებას სანახაობრივად უფრო მეტ ინტერესსა და დინამიკურს გახდის. გუნდებში 6-6 სპორტსმენია, მაგრამ ჩათვლაში შევა მხოლოდ ხუთი საუკეთესო შედეგი. სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში არიან 1974 წლის სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. კრაშენინიკოვა, ამავე პირველობაში III, IV და V ადგილზე გასულნი ი. დერიუგინა, ა. ზუხინა და გ. ლოგვინოვა, ინტერვიდენიის თასის მფლობელი ი. დევინა და ნორჩი სპორტსმენი, 14 წლის ო. რაბინოვიჩი.

ბულგარელთა გუნდში არიან მაღალი კლასის ტანმოვარჯიშეები მ. გიგოვა, კ. ფილიპოვა და სხვ.

ტელემაყურებლებს ამ შეჯიბრების ნახვა შეუძლიათ ხვალ ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით 23 საათიდან და 20 წუთიდან თბილისის დროით.

## ჩოგბურთის სუროგატი არავის სჭირდება

ამერიკის შეერთებულ შტატებში „გუნდური ჩოგბურთის საერთაშორისო ლიგის" წარმოშობამ ევროპაში დიდი პროტესტები გამოიწვია. სპორტული ბიზნესის ამ ახალი „პირმშოს" არსებობის პირველმა თვეებმა დაგვარწმუნა, რომ მას უსახელო დასასრული ელის. ყველაფრიდან ჩანს, რომ „გუნდური ჩოგბურთის საერთაშორისო ლიგა" გაიზიარებს საცირკო ცირკის ბედს.

ავადმყოფობის სიმპტომები იგივეა: მაყურებლის ნაკლები ინტერესი. ხალხი არ მიაწყდა საჩოგბურთო სპექტაკლებს ამერიკის სხვადასხვა ქალაქის კორტებზე. საქმეს ვერც „სიახლემ" — გუნდების მეტოქეობამ უშველა...

განსაკუთრებით ცოტაა შემოსავალი იმ ქალაქებში, სადაც მაყურებლები ჩოგბურთის საუკეთესო ტრადიციებზე არიან აღზრდილი. ასეა, მაგალითად, ნიუ იორკში, სადაც აშშ-ს ღია ჩემპიონატები ტარდება ხოლმე. ახალი ლიგის გუნდების გამოსვლებს სულ 400-500 კაცი ესწრებოდა, „სპექტაკლის" ხარჯების ასანაზღაურებლად კი სამი ათასი ბილეთი მაინც უნდა გაყიდულიყო.

ახალი საქმის თაოსნებს სულ ტყუილად აქვთ იმ მაყურებლების იმედიც, რომლებიც ჩოგბურთის ნიუანსებში მაინცდამაინც ვერ ერკვევიან, მაგრამ „თავიანთ" გუნდს ენთუზიაზმით უნდა დაუჭირონ მხარი. გამოყენებულ იქნა ყველა ტრიუკი, რამაც კი შეიძლება დაბალი გემოვნების მაყურებელი დააინტერესოს. მაგალითად, ფრანკი ფრანსუაზა დიური თავის ძაღლს აიძულებს სასტვენის ხმაზე ჩოგანი მიურბენინოს...

ცნობილი ინგლისელი ჩოგბურთელი როჯერ ტეილორი ირონიულად ამბობდა, ამ „სიახლესთან" და, საერთოდ, ამგვარი თამაშების ატმოსფეროსთან შეგუებას დრო სჭირდებაო.

სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა კენ როზუოლმა, რომელიც თვითონაც გახდა საჩოგბურთო ბალაგანის მონაწილე, ლონდონის „ტაიმსის" კორესპონდენტს უთხრა: „ასეთი რამ მხოლოდ ამერიკაში შეიძლება მოხდეს".

უიმბლდონის ტურნირის მრავალგზის ჩემპიონი ბილი-ჯინ კინგი მარტო თავისი ტიტულებით როდი ემსახურება „გუნდური ჩოგბურთის საერთაშორისო ლიგას". მან ამ წამოწყებას კარგა ბლომად ფულიც შესწირა, მაგრამ იმედს არ კარგავს. კინგის აზრით, დროთა განმავლობაში ასეთი ჩოგბურთიც შეძლებს კონკურენცია გაუწიოს სპორტის სხვა პროფესიულ სახეობებს „მიმზიდველი სანახაობისთვის დოლარების გამოძალვის ხელოვნებაში".

ამ სიტყვებს კომენტარი აღარ სჭირდება.

ი. ხრომოვი.
(საკდესის კორ.).

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

**თბილისის სპორტულ ბაზებზე**

რაგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. დღეს. სსრ კავშირის პირველობის უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი). დასაწყისი 19 ს.

სპორტული ტანვარჯიში. სპორტულ „ბურევესტნიკის" დარბაზი (მ. ხმელნიცკის ქ. № 181). საქართველოს ხუთწლედის პირად-გუნდური პირველობა და რესპუბლიკის თასის გათამაშება. დასაწყისი: 25-28 ივნისს 18 ს., 29-30 ივნისს 15 ს.

ჩოგბურთი. „დინამოს" ჩოგბურთის სტადიონი. 25-30 ივნისი. საქართველოს ტრიალური პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი 10 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04638